MES 2 21 0000743884

27/07/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 19 ივლისს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting:
https://us02web.zoom.us/j/89938498583?pwd=S1B3SVY0Y2NvZ2pKbElLbGxHSVA2Zz09

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში- საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი/საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი:
სერგო ტეფნაძე - უნივერსიტეტის რექტორი,
დავით ტეფნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,
ნიკა თიკანაშვილი - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი,
ბექა ბუიძე - პროფესიული პროგრამების ხარისხის მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“:
გიორგი გოგიტიძე - კოლეჯის დირექტორი,
მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე,
ბიძინა კირთაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
ნუგზარ ბოლქვაძე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი (ქედა),
გიორგი ფუტკარაძე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი (შუახევი),
ინგა ლომთათიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი:
სულხან სულხანიშვილი - დირექტორი,
თინათინ ენდელაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

თეა ლილუაშვილი,
გიორგი მაყაშვილი,
ინგა ბოჭოიძე,
თამთა კვინიკაძე,
ნანა ხითარიშვილი,
ელენე ბოდაველი,
ნანა შარაბიძე,
დავით გუდაძე,
ალინა კუპრავა,
თამარ ზარანდია,
გივი დოლიძე,
მაია გაბრავა,
მაკო ჯაოშვილი,
ალექსანდრე კეკენაძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

ქალბატონი ნანი დალაქიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განმარტა, რომ სხდომას ვერ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნანა ყუფუნია, საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ მხარი დაუჭირეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ შორენა ჯაფარიძეს.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**
1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ (დაბა ქედა) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ (დაბა შუახევი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - კოლეჯ „ბლექსისთვის“ „ელექტროობის“ (დაბა შუახევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - კოლეჯ „ბლექსისთვის“ „მეფუტკრეობის“ (დაბა ქედა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ - კოლეჯ „ბლექსისთვის“ „შედუღების“ (დაბა შუახევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „ღონისძიების ორგნიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ მიმართა კითხვით ქალბატონ ნანი დალაქიშვილს, ცენტრს ხომ არ ჰქონდა შუამდგომლობა. ცენტრს შუამდგომლობა არ ჰქონდა.
სხდომის მონაწილე საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

1.შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე საკითხი წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქალბატონმა თეა ლილუაშვილმა. მან განმარტა, რომ საკითხი ეხება შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მიმდინარე წლის 15 ივლისს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, საბჭომ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, ამდენად, დღეს საბჭოს სხდომაზე განიხილება უნივერსიტეტისათვის პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა 3 წევრისგან, რომელთაგან ქალბატონი ინგა ბოჭოიძე გახლდათ უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ხოლო გიორგი მაყაშვილი - დარგის ექსპერტი. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შესასწავლად გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, შეისწავლა და კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო-სამუშაო გარემო, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსები. დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას გეგმავს იმავე კორპუსებში, სადაც ხორციელდება აკადემიური პროგრამები, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ორივე კორპუსში შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამოყენების საკითხი. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სასწავლო კორპუსების აუდიტორიების დატვირთვის სქემები, რომლიდანაც დასტურდება, რომ აკადემიური და პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილია სხვადასხვა სივრცეები, ადგილი არ აქვს გადაფარვებს. ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, თუმცა მათი დატვირთვების გადამოწმებისას, რომელიც ასევე წარმოადგინა დაწესებულებამ, არ დასტურდება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ყველა სტანდარტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“, ხარვეზები არ გამოვლენილა, გაიცა მხოლოდ განვითარების რეკომენდაციები:
1.2.2 კომპონენტი/კრიტერიუმი - სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაინტერესებული პირების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
4.1.2 კომპონენტი/კრიტერიუმი - აკადემიური პერსონალის შერჩევის მსგავსად, კონკურსის გზით კადრების შერჩევა დაინერგოს პრაქტიკაში სხვა პოზიციებზეც (პროფესიული მასწავლებელი, ადმინისტრაციულის და დამხმარე პერსონალი) კადრების შერჩევისას. განვითარების რეკომენდაცია: ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს და პერსონალის სამუშაო აღწერილობის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის ჩანაწერები მოვიდეს შესაბამისობაში.

5.1.1 კომპონენტი/კრიტერიუმი - უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, დაკონკრეტდეს პროცედურები, თუ როგორ ახდენს პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისთვის სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფას და შენახვა-განკარგვას.
2.4.1. კომპონენტი/კრიტერიუმი - მემორანდუმების საფუძველზე განხორციელდეს შეთანხმებების/ხელშეკრულებების გაფორმება,სადაც დაკონკრეტდება პროფესიული პროგრამების ფარგლებში ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება განხორციელდება პრაქტიკული სწავლებისას.
თეა ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საკუთრებაშია ქ.თბილისში ქეთევან დედოფლის გამზირის N16-ში მდებარე შენობა-ნაგებობები, ასევე თელავში, სოფელ კურდღელაურში მდებარე 565700.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი 12 შენობა-ნაგებობით (აეროპორტი „მიმინო“), დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება შპს საქაერონავიგაციასთან ქ.თბილისში, რომლის ობიექტია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე ნაკვეთი ანგარით, სადაც განთავსებულია სასწავლო აუდიტორია და ბოინგის თვითმფრინავი პრაქტიკული სწავლებისთვის. დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტის სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდამჭერი მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრულია იმ მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფის ნუსხა, რომლებიც ხელმისაწვდომია დაწესებულების როგორც აკადემიური, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; დაწესებულებას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების მართვის სისტემის სახელმძღვანელო დოკუმენტი,რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას.დოკუმენტი მოიცავს უსაფრთხოების პოლიტიკას, რისკების მენეჯმენტს, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს, დასაქმებულთა ანგარიშგების და უკუკავშირის სისტემას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. დოკუმენტი ინგლისურენოვანია. დაწესებულებას ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ტრენინგი. ყველა გარემოში გამოკრულია დარგის სპეციფიური ინსტრუქციები ქართლ და ინგლისურ ენებზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს წარუდგინა უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის ამახველი ფოტომასალა და განმარტა, რომ რადგანაც ვიზიტი დისტანციური იყო, დაწესებულებამ თვითონ მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს ფოტოსურათები, თუმცა ზუმით ყველაფრის დათვალიერება მოხდა.
არცერთ ინსტიტუციურ სტანდარტსა და კომპონენტში შეუსაბამობები არ ყოფილა, მხოლოდ განვითარების რეკომენდაციები გაიცა.
განაცხადში 4 პროგრამა ჰქონდათ მითითებული. პროგრამების დასაბუთების მიზანშეწონილობა საკმაოდ საფუძლიანად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა. ოთხივე პროგრამისთვის დასაბუთებას ერთი საფუძველი ჰქონდა: ბოინგის კომერციული ბაზრის 2018-2037 წლების პერსპექტივები და ამავე ორგანიზაციის პილოტების და ტექნიკოსების 2019-2038 წლების პერსპექტივის დოკუმენტი, ასევე, 2016, 2018, 2019 წლებში ჩატარებული დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. პროგრამები შეესაბამება დაწესებულების მისიას.
ოთხივე პროგრამა მეხუთე დონისაა და ინგლისურ ენაზე ხორციელდება. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ცალ-ცალკე მიმოიხილა პროგრამები:
საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1)
საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2)
საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-A)
საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-H)
და საბჭოს წევრებს გააცნო თითოეული პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი. აღნიშნა, რომ ყველა კომპონენტთან სრული შესაბამისობა არსებობს, მხოლოდ ერთი

განმავითარებელი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამებს, რაზეც უკვე ისაუბრა. უნივერსიტეტი სრულადაა აღჭურვილი დასახელებული პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური ბაზით, ასევე, ადამიანური რესურსით, ყველა განმახორციელებლის კვალიფიკაცია შესაბამისია, გარდა ამისა, მასწავლებლებს აქვთ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული მასწავლებლის მოწმობები. ტექნიკური მომსახურების საგანმანათლებლო პროგრამებს ხელმძღვანელობენ საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურებაში გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც ფლობენ ავიატექნიკოსის სპეციალისტის მოწმობას, მასწავლებლის მოწმობას და მაგისტრის ხარისხს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სფეროში, ხოლო საჰაერო ხომაალდების საფრენოსნო ექსპლოატაციის პროგრამებს - საჰაერო ხომალდების საფრენოსნო გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც ფლობენ პილოტის მოწმობას, მასწავლებლის მოწმობას და მაგისტრის ხარისხს საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის სფეროში.
დარგის ექსპერტმა გიორგი მაყაშვილმა დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამები სერტიფიცირებას გადის საავიაციო სააგენტოშიც, რომელსაც თვითონ წარმოადგენს, და ეს პროგრამები მუდმივი კონტროლის ქვეშაა, ისე როგორც ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობა. პროგრამები სრულად შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს, რისი ვალდებულებაც აქვს ქვეყანას საერთაშორისო ხელშეკრულებებით.
ექსპერტმა ინგა ბოჭოიძემ აღნიშნა, რომ მან შეისწავლა აკადემიური და პროფესიული პროგრამების ერთ სივრცეში განხორციელების შესაძლებლობები და დასკვნაში აისახა, რომ ეს პროგრამები ხელს არ უშლის ერთმანეთს. უნივერსიტეტის რექტორმა მადლობა გადაუხადა ხარისხის ცენტრს კვალიფიციური ექსპერტების შერჩევისა და ობიექტური შეფასებისთვის.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, შეისწავლა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტში უკვე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებები და ექვემდებარება თუ არა მათი შეფასების ინსტრუმენტები საერთაშორისო სტანდარტებს, რაზეც თეა ლილუაშვილმა უპასუხა, რომ შეისწავლეს ვერიფიკაციის მასალები, გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებსაც, მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში გამოცდები ცენტრალიზებულად ტარდება, ისინი მუდმივ კონსულტაციებსაც იღებენ მასწავლებლებისგან, რაც აისახება მათ შედეგებზე. აქვე დაამატა, რომ უფრო მეტად იყენებენ სასწავლო პროცესში განმავითარებელ შეფასებას, სანამ სრულად არ აითვისებს პროფესიული სტუდენტი სწავლის შედეგებს, განმსაზღვრელ შეფასებას არ მიმართავენ.

ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა, ხომ არა აქვთ ექსპერტებს ინფორმაცია სტუდენტთა წარმომავლობის თაობაზე, რადგან მაღალია სწავლის საფასური, ქართველებიც სწავლობენ თუ მხოლოდ უცხოელები. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ საფრენოსნო მიმართულებით საფასური მაღალია, თუმცა მსოფლიო მასშტაბით ანალოგიური მიმართულების პროგრამების საფასურს შევადარებთ, დაბალია, ამიტომ, ბევრი უცხოელი სტუდენტი სწავლობს. რაც შეეხება დასაქმებას, ძალიან მაღალი მაჩვენებელი აქვს უნივერიტეტს. სტუდენტებისთვის ტერაბანკის მხარდაჭერით სტუდენტური სესხებიც არსებობს.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა მიმდინარე წლის 15 ივლისს და მიენიჭა ავტორიზაცია. გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 29 ივლისიდან, სასურველია, საბჭოს დღევანდელი გადაწყვეტილებაც 29 ივლისიდან შევიდეს ძალაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 29 ივლისი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დანართში ასახული პროგრამები და სათითაოდ უყარა კენჭი.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B1.1)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მიენიჭოს „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B1.1)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მიენიჭოს „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების (B2)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (CPL-A)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მიენიჭოს „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (CPL-A)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (CPL-H)” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მიენიჭოს „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (CPL-H)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნატალია კვაჭანტირაძე.

2. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ (დაბა ქედა) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მონიტორინგი ჩაინიშნა იმ მიზნით, რომ შეფასებულიყო კოლეჯის ახალი ლოკაციის - დაბა ქედა - მზაობა ავტორიზაციის ინსტიტუციურ სტანდარტებთან (მე-4 სტანდარტი და მე-5 სტანდარტის 2 კომპონენტი), დაწესებულებას უნდა ამ ლოკაციაზე დაიმატოს პროგრამა, ცენტრმა ერთმანეთის პარალელურად განახორციელა მონიტორინგი და პროგრამის დამატების ადმინისტრაციული წარმოება. მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, საბჭო განიხილავს პროგრამის დამატების საკითხს. ანალოგიური წარმოებები განხორციელდა დაბა შუახევის ლოკაციაზე.

საკითხი წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამთა კვინიკაძემ და ექსპერტმა ნანა ხითარიშვილმა. თამთა კვინიკაძემ აღნიშნა, რომ წინასწარ გამოითხოვეს დოკუმენტაცია, შეისწავლეს და შემდეგ განხორციელდა დისტანციური ვიზიტი. ვიზიტის დროს ხარვეზები არ გამოვლენილა, ექსპერტების მხრიდან მე-4 სტანდარტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო მეხუთე სტანდარტის 5.1. კომპონენტი, როგორც მეტწილად შესაბამისი, ხოლო 5.2 კომპონენტი, როგორც სრულად შესაბამისი.
გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები:
5.1 კომპონენტი 5.1.1.4 ინდიკატორი: დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულებაში დამონტაჟებული არ იყო ცენტრალური გათბობის სისტემა კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და სავარაუდოდ, ცენტრალური გათბობის დამონტაჟების დრო (2021 წლის დეკემბერი). აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. ვადის შესაბამისად ექსპერტები აღნიშნავენ , რომ აღნიშნული ინდიკატორი **მეტწილად შესაბამისია.**
5.1.2.1. ინდიკატორი: დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულების ქედას მისამართზე არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და სავარაუდოდ დრო 112 ის დასკვნის მოპოვების შესახებ (2021 წლის სექტემბერი), რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი **მეტწილად შესაბამისია.** ასევე დაწესებულებას არ აქვს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები შენობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ასაღებად (2021 წლის სექტემბერი), რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი **მეტწილად შესაბამისია.**
5.1.2.3 ინდიკატორი: დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულებას არ გააჩნდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და სავარაუდოდ დრო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის შესახებ (2021 წლის სექტემბერი), აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი **მეტწილად შესაბამისია.**
5.1.2.4 ინდიკატორი: დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულებას არ ჰყავდა წესრიგის დაცვის თანამშრომელი ან კომპანია, კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა (ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადა 2021 წლის ივლისი) რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ კომპონენტი 5.1. **მეტწილად შესაბამისია.**
ექსპერტებმა წარმოადგინეს ფოტო დოკუმენტებიც, რომლებიც ადასტურებს ინფრასტრუქტურის მდგომარეობას.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, როგორი იქნება დაწესებულების წარმომადგენლების განმარტება, რადგან ბევრი ინდიკატორი არის მეტწილ შესაბამისობაში, არის თუ არა რეალისტური შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ვადები ამ კომპონენტების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ რაც ექსპერტებმა მეტწილ შესაბამისობად შეაფასეს, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ დაასრულეს, შენობის რეაბილიტაცია განახორციელა

ინფრასტრუქტურის სააგენტომ, გვიან გადმოეცათ შენობა, ბევრი საკითხის დასრულება მოასწრეს, მდგრადობის და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნებთან დაკავშირებით უკვე ელოდებიან შესაბამის ორგანოების დასკვნებს, მოთხოვნა გაგზავნილი აქვთ, რაც შეეხება გათბობის სისტემის მონტაჟს, ბაზრის მოკვლევა გაკეთებულია და იმედოვნებენ, რომ გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადებში ეს საკითხიც მოგვარდება. ცენტრის წარმომადგენლების განმარტებით, შესაძლებელია ჩაინიშნოს განმეორებითი მონიტორინგი, მაქსიმალური ვადის ფარგლებში, თუმცა საბჭოს აქვს პრაქტიკა, რომ ასეთ შემთხვევებში მონიტორინგი ებმის პროგრამის ფარგლებში ჩანიშნულ მონიტორინგს, მაგრამ ამ შემთხვევაში ქედაში დასამატებელი პროგრამა სრულ შესაბამისობაშია, ამდენად საბჭომ უნდა იმსჯელოს ჩანიშნავს განმეორებით მონიტორინგს, თუ მისცემს დაწესებულებას საშუალებას წარმოადგინოს ინფორმაცია, სამუშაოების დასრულების შემდეგ. თავდაპირველად წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით მეტი კომპონენტები იყო შესაბამისობაში მოსაყვანი, ვიზიტის თარიღისთვის ბევრი რამე გამოსწორებული დახვდა ჯგუფს, ამდენად, შესაძლებელია საბჭომ იმსჯელოს და გასცეს რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდეგ, კოლეჯმა წარმოადგინოს ცენტრში ინფორმაცია დასრულებული სამუშაოების შესახებ, რომელიც მიეწოდება საბჭოს.
საბჭომ, საკითხის გადასაწყვეტად, გამოიყენა სათათბირო დრო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება: ექსპერტების დასკვნიდან გამომდინარე ჩანს, რომ კოლეჯის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ გეგმაში, სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად მეტი საკითხები იყო მონიშნული, მათ შორის სხვა კომპონენტებშიც, თუმცა საბოლოო დასკვნაში მხოლოდ 5.1. კომპონენტია მეტწილ შესაბამისობაში, ავტორიზაციის დებულებიდან გამომდინარე, მე-5 სტანდარტის სრული შესაბამისობისთვის დასაშვებია 5.1. კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაში იყოს, ამდენად, საბჭო თვლის, რომ შესაძლებელია შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება, 5.1. კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგის ჩანიშვნა არ მიაჩნია საბჭოს მიზანშწონილად და კოლეჯ ბლექსის დაევალოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდეგ, წარმოადგინოს ცენტრში ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება საბჭოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ "ბლექსიში" (დაბა ქედა) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ "ბლექსიში" (დაბა ქედა) (ს/კ: 245610398) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 19 ივლისი.
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, რომ კოლეჯმა 5.1. კომპონენტის ინდიკატორების დაკმაყოფილების შემდეგ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისთანავე, წარმოადგინოს ცენტრში ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება საბჭოს.

3. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ (დაბა შუახევი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამთა კვინიკაძემ და ექსპერტმა ელენე ბოდაველმა. თამთა კვინიკაძემ აღნიშნა, რომ წინასწარ გამოითხოვეს დოკუმენტაცია, შეისწავლეს და შემდეგ განხორციელდა დისტანციური ვიზიტი. ვიზიტის დროს ხარვეზები არ გამოვლენილა, ექსპერტების მხრიდან მე-4 სტანდარტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო მეხუთე სტანდარტის 5.1. კომპონენტი, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი და 5.2 კომპონენტი, როგორც, სრულად შესაბამისი.
ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები:
5.1.1.4. ინდიკატორი - დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულებაში დამონტაჟებული იყო ცენტრალური გათბობის სისტემა, თუმცა სისტემა არ ფუნქციონირებს, შენობა გაზიფიცირებული არაა და კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და მუნიციპალიტეტთან შეთანხმებული გაზიფიცირების გეგმა(2022 წლის ნოემბერი). აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. ვადის შესაბამისად ექსპერტები აღნიშნავენ , რომ აღნიშნული კომპონენტის/ინდიკატორის ფარგლებში შეფასებაა - **ნაწილობრივ შესაბამისი.**
5.1.2.1. ინდიკატორი - დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულების შუახევის მისამართზე არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და სავარაუდო დრო 112 ის დასკვნის მოსაპოვებლად (2021 წლის სექტემბერი), აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, კომპონენტი/ინდიკატორი **მეტწილად შესაბამისია.** ასევე, დაწესებულებას არ აქვს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები შენობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ასაღებად (2021 წლის სექტემბერი), აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ კომპონენტი **მეტწილად შესაბამისია.**
5.1.2.3 ინდიკატორი: დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულებას არ გააჩნდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და სავარაუდოდ, დრო ინდიკატორის შესაბამისობაში მოსაყვანად (2021 წლის სექტემბერი), აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ კომპონენტი **მეტწილად შესაბამისია.**
5.1.2.4 ინდიკატორი: - დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულებას არ ჰყავდა წესრიგის დაცვის თანამშრომელი ან კომპანია, კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა,(2021 წლის 8 ივლისი) რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ კომპონენტი **მეტწილად შესაბამისია.**

5.1.1.1 ინდიკატორი: დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულება არ იყო აღჭურვილი სრულყოფილად მედდის კაბინეტისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსით კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და სავარაუდოდ დრო(2021 წლის ივლისი) კაბინეტის აღჭურვის დასრულების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით დირექტორის მიერ. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ კომპონენტი **მეტწილად შესაბამისია.**
მთლიანად 5.1. კომპონენტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.
ექსპერტებმა წარმოადგინეს ფოტო დოკუმენტებიც, რომლებიც ადასტურებს ინფრასტრუქტურის მდგომარეობას.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ხომ არ ხედავს კოლეჯი რისკებს, შენობის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით.

კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ დაბა შუახევის გაზიფიცირება სამთავრობო დონის ღონისძიებაა, რის თაობაზე მუნიციპალიტეტის მოწერილობაც არსებობს, ალტერნატიული გზაც ჰქონდა კოლეჯს, ფიქრობდნენ, რომ გადაეკეთებინათ გათბობის მოწყობილობა თხევად გაზზე, მაგრამ არ იჩქარეს, რადგანაც თხევად გაზზე მომუშავე გათბობის დანადგარი ბევრად ხარჯიანია, იმედი აქვთ, რომ 2022 წლის დეკემბრისთვის ეს პროცესი დასრულებული იქნება.

შორენა ჯაფარიძემ დამატებით აღნიშნა, რომ რაკი მონიტორინგის წარმოების ფარგლებში ნაწილობრივი შესაბამისობაა, ვერ მივაბავთ პროგრამას, რადგან ნაწილობრივი შესაბამისობის ფარგლებში პროგრამის დამატებას ვეღარ მოახერხებთ. რაც დაადასტურა ცენტრის წარმომადგენელმაც, ამდენად, სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შუახევის ლოლაციაზე მონიტორგის ფარგლებში და ამავე დროს საბჭო მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი, სტანდარტთან ნაწილობრივი შესაბამისობის აღმოფხვრის შესაფასებლად. დაწესებულების წარმომადგენლებთან შეთანხმებით მონიტორინგის პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის 5 დეკემბრიდან, კოლეჯის წარმომადგენელიც დაეთანხმა თარიღს, ამავე დროს აღნიშნა, რომ თუ დაინახავს რისკს, ამ ვადაში სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებით, გათბობის სისტემას გადააკეთებს თხევად აირზე სამუშაოდ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ "ბლექსიში" (დაბა შუახევი) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7 (მაგდა ბოლოთაშვილმა ვერ მისცა ხმა ტექნიკური შეფერხების გამო)
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ "ბლექსიში" (დაბა შუახევი) (ს/კ: 245610398) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 19 ივლისი.
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც ნაწილობრივ შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 5.1 . მონიტორინგი

განხორციელდეს ვიზიტით, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 5 დეკემბრიდან.

4. სსიპ - კოლეჯ ,,ბლექსისთვის" ,,ელექტროობის" (დაბა შუახევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდიმარემ ნანა შარაბიძემ და დარგის ექსპერტმა დავით გუდაძემ. ნანა შარაბიძემ აღნიშნა, რომ წინასწარ გაეცნენ კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შეისწავლეს და შემდეგ განხორციელდა დისტანციური ვიზიტი. ვიზიტის დროს ხარვეზები არ გამოვლენილა, არ გაცემულა არც შესაბამისობის და არც განვითარების რეკომენდაციები. თუმცა, დაწესებულებას 2.2. კომპონენტი მეტწილად ჰქონდა შეფასებული და წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმაც, საკითხი ეხებოდა საგანმანათლებლო რესურსების თარგმანს, მაგრამ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ის საგანმანათლებლო რესურსი, რაც მითითებული იყო მოდულებში და დადასტურდა კოლეჯის ბიბლიოთეკაშიც, სრულად უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების მიღწევას, თარგმნილი რესურსი განმახორციელებლების მიერ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო, როგორც დამხმარე მასალა.
ნანა შარაბიძემ დეტალურად წარმოადგინა შეფასებები სტანდარტების თითოეული კომპონენტის და ინდიკატორის მითითებით, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პროგრამის დამატების დასაბუთებაზე და აღნიშნა, რომ დასაბუთება თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან, რომელიც ასე ჟღერს: კოლეჯის მისიაა დაძლიოს გამოწვევები, გახდეს აჭარის რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე და ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაიმკვიდრებს რეგიონში წამყვან პოზიციას პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობით და ხარისხიანი განათლების მიწოდებით.
კოლეჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო პროგრამების განხორციელების არეალის გაფართოვება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შუახევის მუნიციპალიტეტში. 2018 წელს კოლეჯმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ,,ENPARD – 2“ მხარდაჭერით მაღალმთიან აჭარაში ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ უახლესი 2-3 წლის განმავლობაში აჭარის ოთხივე მუნიციპალიტეტში აქტუალურია კვალიფიციური სამუშაო ძალაზე მოთხოვნა სხვადასხვა მიმართულებით. ერთ - ერთ მოთხოვნად პროფესიად გამოიკვეთა - ელექტროობა, როგორც დაბალი, ასევე, მაღალი ძაბვის სპეციალისტების მიმართულებით. შემდეგ დაიწყო ზრუნვა შუახევის მუნიციპალიტეტში ფილიალის გასახსნელად, სახელმწიფოს დახმარებით ეს პროექტი განხორციელდა და კოლეჯს ეძლევა საშუალება მოთხოვნადი, ელექტრობისა და შედუღების პროგრამები განახორციელოს შუახევში. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით წარმოდგენილი პროგრამა, მატერიალური და ადამიანური რესურსი, ასევე პროგრამული სტანდარტის შემადგენელი 2.3. და 2.4. კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნული დაადასტურა დარგის ექსპერტმა დავით გუდაძემ.

შორენა ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა, რომ კოლეჯმა, როგორც ჩანს მოკრძალებულად შეაფასა საუთარი რესურსები, რაც მეტყველებს კოლეჯის მაღალ პასუხისმგებლობასა და ობიექტურობაზე და მისასალმებელია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ ბლექსისათვის (ს/კ: 245610398) „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: სსიპ კოლეჯ "ბლექსის" (ს/კ: 245610398) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევში **(დანართი 2)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 19 ივლისი.

5. სსიპ - კოლეჯ ,,ბლექსისთვის" ,,მეფუტკრეობის" (დაბა ქედა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდიმარემ ალინა კუპრავამ და დარგის ექსპერტმა თამარ ზარანდიამ. დაწესებულებას სურს პროგრამა განახორციელოს დუალური მიდგომით. პროგრამის დაგეგმვა ეყრდნობოდა უკვე აღნიშნულ გაეროს პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ კვლევას, ასევ, დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინა კოლეჯს საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ. პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების მიზნით, კოლეჯს სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული, ერთ-ერთი მათგანის დამფუძნებელია პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებლები ადგილობრივები არიან, გავლილი აქვთ სწავლისა და შეფასების მეთოდებში ტრენინგები. კოლეჯს წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მეტწილი შესაბამისობა ჰქონდა მითითებული გარკვეულ ინდიკატორებთან მიმართებაში, მაგრამ ვიზიტის დროს უკვე სრული შესაბამისობა იყო , კომპანიებსაც სრული რესურსი აქვთ, რომ პროგრამა შედეგიანად განხორციელდეს. პროგრამა და პროგრამული სტანდარტის ყველა კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია. თამარ ზარანდიამ დაამატა, რომ ეთანხმება წარმოდგენილ პრეზენტაციას, თუმცა კითხვებს უპასუხებს. დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რომ მისცეს საშუალება კარგად წარმოჩენილიყო კოლეჯი, პარტნიორ კომპანიებთან ჩართვაც წარმატებულად განხორციელდა. რუსუდან გიგაშვილმა კოლეჯს წარმატება უსურვა და დაამატა, რომ აგრარული სექტორი მიესალმება და ელოდება ასეთ პროგრამებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ "ბლექსისათვის" (ს/კ: 245610398) „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: სსიპ კოლეჯ "ბლექსის" (ს/კ: 245610398) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 19 ივლისი.

6. სსიპ - კოლეჯ ,,ბლექსისთვის" ,,შედუღების" (დაბა შუახევი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ალინა კუპრავამ და დარგის ექსპერტმა გივი დოლიძემ. დაწესებულებას სურს პროგრამა განახორციელოს მოდულური მიდგომით. პროგრამის დამატების დასაბუთება და პროგრამის დაგეგმვა ეყრდნობა უკვე აღნიშნულ გაეროს პროგრამის პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევას მაღალმთიან აჭარაში.
დაწესებულებას თვითშეფასებაში მითითებული ჰქონდა მეტწილი შესაბამისობა, რასაც ექსპერტებიც დაეთანხმნენ და 2.2. კომპონენტი/2.2.1 5. ინდიკატორი შეაფასეს როგორც, მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებას , შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (2021 წლის 30 აგვისტო) განხორციელდეს საგანმანათლებლო რესურსის - შედუღების საერთაშორისო სტანდარტების შესყიდვა და ყველა მათგანის თარგმნა, რისი ფინანსური რესურსიც კოლეჯს გააჩნია. ალინა კუპრავამ ყურადღება გაამახვილა მატერიალური რესურსის სრულად არსებობაზე, კერძოდ, აღსანიშნავია, რომ ,,შედუღების“ მოდულური პროგრამის ლაბორატორიისათვის 2020 წლის 31 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტით ,,გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ) მიერ კოლეჯს საჩუქრად გადმოეცა შემდუღებელი აპარატის სიმულატორი, რაც კოლეჯისთვის ძალიან დიდი უპირატესობაა. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 12 პროფესიული სტუდენტი), ჯამში 24 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა

მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის მიერ 2021 წლის 3 ივნისის №01-02/136 ბრძანების საფუძველზე), რომლის მიხედვითაც კოლეჯს უნდა შეეძინა მატერიალური რესურსის ნაწილი, რომელიც არ ჰქონდა შეძენილი, თუმცა დისტანციური ჩართვის მომენტისთვის აღმოჩნდა, რომ კოლეჯს უკვე შესყიდული ჰქონდა მატერიალური რესურსი, მათი მფლობელობა დადასტურდა, როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე მიღება - ჩაბარების აქტებით.
პროგრამის განმახორციელებლები ადგილობრივები არიან, ადამიანური რესურსი სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მთხოვნებს, ისევე, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის დარგის მოქმედი სპეციალისტი. 2.3. და 2.4. კომპონენტებიც ექსპერტთა მიერ შეფასებული იქნა, როგორც, სრულად შესაბამისი.
ექსპერტემა ყურადღება გაამახვილეს უსაფრთხოების მექანიზმებზე და განსაკუთრების ამ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სახელოსნოში უსაფრთხოების ზომების დაცვაზე, დარგის ექსპერტის შეფასებით ყველაფერი სტანდარტის შესაბამისია, აქვე აღინიშნა, რომ კოლეჯს აქვს ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც აღირიცხება სტუდენტებისთვის გაწეული უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები, რაც ძალიან კარგი პრაქტიკაა.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, რამდენად აუცილებელი იყო დასკვნაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების თარგმნა და ამისათვის მონიტორინგის განსაზღვრა, რაზეც დარგის ექსპერტმაც ისაუბრა და ხაზი გაუსვა საერთაშორისო სტანდარტების თარგმნის აუცილებლობას. დაწესებულების წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ ეს მათი ნაბიჯი და მიღებული თარგმნილი რესურსი არა მარტო მათ გამოადგებათ, არამედ აღნიშნული პროგრამის სხვა განმახორციელებლებისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი, ასევე, ფიქრობენ დარგობრივი მიმართულების ტრენინგზეც, GIZ მხარდაჭერას ჰპირდებათ. მარიამ ჩაგელიშვილმა დაადასტურა, რომ დონორი მართლაც გეგმავს ტრენერების ტრენინგს და ეს განმახორციელებლებისთვის დიდი მხარდაჭერა იქნება.
მოსმენილის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დასვა კითხვა, რამდენად ეთანხმება კოლეჯი 2.2. კომპონენტის ნაწილში მონიტორინგს და თუ ეთანხმება, თარიღიც იქნებ განსაზღვროს, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ მონიტორინგი მათთვის მისაღებია, და ითხოვა მონიტორინგი განხორციელდეს 2021 წლის 8 ოქტომბრიდან,

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ "ბლექსისათვის" (ს/კ: 245610398) „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: სსიპ კოლეჯ "ბლექსის" (ს/კ: 245610398) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევში **(დანართი 4).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 19 ივლისი.
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2. . მონიტორინგი

განხორციელდეს ვიზიტით, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 8 ოქტომბრიდან.

7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „საოფისე საქმის“ პროფესი ული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ალინა კუპრავამ და დარგის ექსპერტმა მაია გაბრავამ. ალინა კუპრავამ საბჭოს მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია ვიზიტის თაობაზე, აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N465166 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „საოფისე საქმის“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით . ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი, ასევე განხორციელდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა. შედგენილი განრიგის შესაბამისად 2021 წლის 1 ივნისს განხორციელდა დისტანციური ჩართვით: ადმინისტრაციასთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება; საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ბიბლიოთეკის და საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან; ინტერევიურებისას გამოიკვეთა ზოგიერთი დოკუმენტის წარმოდგენის აუცილებლობა, შესაბამისად დაწესებულებამ, ცენტრის საშუალებით, მიაწოდა ექსპერტებს დოკუმენტები. პროგრამის დამატების შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილების შესაბამისობის შესაფასებლად სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტი. ექსპერტებს მოეწოდათ დაწესებულების 2020-21 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც ახალი პროგრამების დამატება და შესაბამისი ღონისძიებები ასახულია ერთ-ერთ აქტივობად. ამ კონტექსტში განხორციელდა გეგმის ანალიზიც. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის 1.2. ქვესტანდარტის მესამე ინდიკატორის მოთხოვნაა: სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, რაც დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში დარღვეულია, კერძოდ, რესურსების ნაწილში არ არის გაწერილი ის მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა არსებობაც განაპირობებს აქტივობების შესრულებას. აღნიშნული, ექსპერტების მიერ დაფიქსირებულია დასკვნაში ხარვეზად. დაწესებულებაში პროგრამის შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაფასებლად, განხორციელდა ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრება და შესაბამისი დოკუმენტაციების

ანალიზი. აღნიშნულ კოლეჯში გარდა „საოფისე საქმის“ პროგრამის დამატებისა, მიმდინარეობს „ღონისძიების ორგანიზების“ და „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროგრამების დამატების საქმისწარმოება, აქედან, ორი პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშნულია პირი, რომელიც ამავდროულად არის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარდა პროგრამის ხელმძღვანელობისა, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ორი პროგრამის 12 მოდულის განმახორციელებელ პირად არის წარმოდგენილი. მეოთხე სტანდარტის, 4.1. პერსონალის და პროცესების მართვა - ქვესტანდარტის, მესამე ინდიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით - ხარისხის მართვის მენეჯერის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმება და შეფასება ინტერესთა კონფლიქტს წარმოქმნის, რაც ეწინააღდმეგება ხარისხის უზრუნველყოფის ახალ კონცეფციას. აღნიშნული, ექსპერტების მიერ დაფიქსირებულია დასკვნაში ხარვეზად. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა, რომ დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ალინა კუპრავამ დასკვნის ფარგლებში ასახულ ძირითად მიგნებებზე, დაფიქსირებულ ხარვეზებზე, შესაბამისობის და განვითარების რეკომენდაციებზე გაამახვილა ყურადღება. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას წინა ვიზიტის ფარგლებში, 2020 წლის აგვისტოში, ექსპერტთა მიერ მიეცა რეკომენდაციები, რომელთა შესრულების ვადად თვითონ დაწესებულებამ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრა 2020 წლის 10 სექტემბერი, თუმცა მიმდინარე ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა რეგულაციებში შეფასების სისტემის სწორად გაწერილ კრიტერიუმებს, რომლითაც სისტემა დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომ იყოს სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი, რაც თავის მხრივ გულისხმობს ისეთი საკითხების აღწერას, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს. ექსპერტების მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და ირკვევა, რომ გაცემული რეკომენდაციები არ არის სრულად შესრულებული.

ალინა კუპრავამ შეაჯამა ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზები და დეტალურად განმარტა თითოეული:

1.2.3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტის მესამე ინდიკატორის მოთხოვნაა: სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, რაც დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში დარღვეულია, კერძოდ რესურსების ნაწილში არ არის გაწერილი ის მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა არსებობაც განაპირობებს აქტივობების შესრულებას. (1.2.3. კრიტერიუმის შეფასება არ იყო ვიზიტის ფარგლებით განსაზღვრული, თუმცა შეფასების საჭიროება გამოიკვეთა პროგრამული, 2.1. კომპონენტის შეფასებასთან ბმაში).

2.3.1. დაწესებულებაში მიმდინარე ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც, გამოიკვეთა, რომ ხარისხის მრათვის მენეჯერი, რომელიც ამავე დროს არის 2 პროგრამის ხელმძღვანელი და ამ პროგრამების ფარგლებში 7 მოდულის განმახორციელებელი, ახორციელებს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებასა და შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირიც თვითონ არის, იკვეთება ფუნქციების განსაზღვრისას ინტერესთა კონფლიქტი, რაც თავის მხრივ ებმის 4.1.კომპონენტს - პერსონალის და პროცესების მართვა - მესამე ინდიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით - ხარისხის მართვის მენეჯერს, მის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმების და შეფასებისას, ლოგიკურია, ინტერესთა კონფლიქტი ექმნება. ის ვერ იქნება ობიექტური შემფასებელი, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციასთან. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ვერ შეასრულებს თავისივე საქმიანობის ობიექტურად შეფასებას, ამასთან შეფასების მექანიზმი და

რეალური გარემოებები არის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში და არ ითვალისწინებს უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან (ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირი არის ხარისხის მართვის მენეჯერი) საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულებაში ცალსახად იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ფუმქციებში (დეტალური ინფორმაცია მოცემულია 2.3.1 ინდიკატორების აღწერაში).**მ თლიანად 2.3. კომპონენტი შეფასებულია, როგორც არ შეესაბამება სტანდარტს.**

2.4.2.1. იკვეთება სტანდარტთან შეუსაბამობა , არ დასტურდება, რომ პროგრამის მიზნებისათვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. დაწესებულების რეგულაციები არ ფარავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები. **მთლიან ად 2.4. კომპონენტი შეფასებულია, როგორც არ შეესაბამება სტანდარტს.**

4.1.3. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ თავისი შესრულებული სამუშაოს შემოწმება და შეფასება ინტერესთა კონფლიქტს წარმოქნის, რაც ეწინააღმდეგება ხარისხის უზრუნველყოფის ახალ კონცეფციას. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს მეოთხე სტანდარტის, 4.1 კომპონენტის მესამე ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციებზე:

2.1.1.1. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად მოთხოვნილი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი. განსაზღვროს რა სახის შესაბამისობა გააჩნია და რა ნაწილშია საჭირო დამატებითი ინვესტირება. ასევე, გასათვალისწინებელია განმახორციელებელი პერსონალის, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების მოზიდვისა და მათი შემდგომი გადამზადების აუცილებლობა. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას.

2.1.1.2. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები და დაშვების წინაპირობად განსაზღვროს მხოლოდ სრული ზოგადი განათლება. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას.

2.1.1.4. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დააზუსტოს უცხოური ენის(ინგლისური) მოდულში სასწავლო რესურსები.

2.1.1.8. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების და ჩანაწერებში უზუსტობების პრევენციას. რეკომენდებულია ცენტრის გზამკვლევების გამოყენება პროგრამის ადაპტირებისას. **მთლიანად 2.1. კომპონენტი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2.2.2 3. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომედებულია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **მთლიანად 2.2. კომპონენტი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:
2.1.1.3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი : 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 1 მასწავლებლის არსებობის შესახებ, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არანაირ როლს არ თამაშობს კონტიგენტის განსაზღვრის სქემაში, აღნიშნულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია კოლეჯმა განიხილოს არსებული ჩანაწერის საჭიროება.
2.2.2. ხარისხის მართვის მენეჯერი ამავე დროს არის პროგრამის ხელმძღვანელი და ასევე, ახორციელებს აღნიშნული პროგრამის 5 მოდულს, ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც, სასწავლო დატვირთვის შესაძლო მოცულობა ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის უნდა იყოს განსაზღვრული და დარეგულირებული დაწესებულების რეგულაციით. მაგ: შესაძლოა, გაწერილი იყოს შინაგანაწესში, რომ ადმინისტრაციული პოზიციის პარალელურად შეუძლია კვირაში გარკვეული საათის გამოყენება სასწავლო დატვირთვისთვის. ცალსახად იკვეთება შრომის კოდექსით დადგენილი დასაქმებულის დატვირთვის დარღვევა.
2.4.2 2. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს ვერიფიკაციის მექანიზმს და უფრო დეტალურად გაწეროს შემდეგი საკითხები: ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის განხილვის და დაინტერესებული პირების ინფორმირების გზები, სამოქმედო გეგმის შედგენის და შემდეგი რეაგირების მექანიზმები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წარუდგინა მატერიალური რესურსის მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები და აღნიშნა, რომ შესაბამისი ინდიკატორები სრულადაა დაკმაყოფილებული. დარგის ექსპერტი ვერ ჩაერთო ტექნიკური მიზეზების გამო, თუმცა წერილობით დაეთანხმა ალინა კუპრავას პრეზენტაციას.

შორენა ჯაფარიძემ დააზუტებინა ექსპერტებს, რომ მეორე სტანდარტის პირველი კომპონენტი, 2.1. ექსპერტების მიერ შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, რაზეც ექსპერტები დაეთანხმნენ, შორენა ჯაფარიძემ ერთხელ კიდევ შეახსენა საბჭოს წევრებს, დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს, რომ ერთადერთი კომპონენტი, რომელიც აუცილებლად სრულად შესაბამისი უნდა იყოს პროგრამულ სტანდარტში, არის 2.1. კომპონენტი, როცა ეს კომპონენტი არის მეტწილად შესაბამისი, მთლიანად მეორე სტანდარტის შეფასება გადადის ნაწილობრივად შესაბამისში და პროგრამის დამატებაზე საბჭო უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს. მაშინ, როცა, სხვა კომპონენტების შეფასება ექსპერტების მხრიდან შეიძლება საბჭოს მიერ გადაიხედოს (2.3. და 2.4. კომპონენტები) და შეიძლება ჩათვალოს, რომ მკაცრადაა შეფასებული, მაშინ, როცა 2.1. კომპონენტის ნაწილში სხდომის თავმჯდომარე იზიარებს ექსპერტთა შეფასებას და სურს მოისმინოს დაწესებულების განმარტება.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციების ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, მემორანდუმი აქვთ გაფორმებული საქართველოს უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის თნამშრომელი შეაფასებს იმ პროგრამების განხორციელების ხარისხს, რომელი პროგრამების ხელმძღვანელიცაა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, თუმცა ეს მემორანდუმი ექსპერტებმა არ ჩათვალეს მისაღებად, ამიტომ კოლეჯმა უკვე კონკურსით შეარჩია ამ პროგრამაზე სხვა ხელმძღვანელი და მეორე პროგრამის ხელმძღვანელსაც შეცვლის, რაც შეეხება მოდულების განხორციელებას, უკვე შეარჩიეს სხვა განმახორციელებლები, დაამატა ხარისხის მართვის მენეჯერმა, რომელმაც გაიმეორა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური ერთვება

კოლეჯის საქმიანობაში, და ინტერესთა კონფლიქტი არ დგება, თუმცა რაკი კარგად არ იყო მემორანდუმში ეს პროცესი აღწერილი, მაინც შეიტანეს ცვლილება და შეცვალეს პროგრამის ხელმძღვანელები.

შორენა ჯაფარიძემ შეახსენა კოლეჯის წარმომადგენლებს, რომ ვიზიტის შემდეგ განხორციელებული ქმედებები მხედველობაში არ მიიღება, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა 2.1. კომპონენტთან დაკავშირებით, ექსპერტთა დასკვნაში არსებულ შეფასებებთან მიმართებაში, როგორც ცნობილია 2.1. კომპონენტის მეტწილი შესაბამისობა თავისთავად გულისხმობს, რომ პროგრამას ვერ დაიმატებთ, ხაზი გაუსვა სხდომის თავმჯდომარემ.

კოლეჯის წარმომადგენელმა ისაუბრა, რომ კვლევები აქვთ განხორციელებული, რასაც ეფუძნებოდა პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა. ექსპერტმა ითხოვა განმარტება დაშვების წინაპირობებზე, მოდულების ადაპტირებაზე უცხო ენის მოდულის რესურსებთან დაკავშირებული განმარტებები, რაზეც ხარისხის მართვის მენეჯერმა განმარტა, რომ მისი გამოუცდელობიდან გამომდინარე არ იცოდა მოდულების ადაპტირების საშუალება თუ ჰქონდა და ტექნიკური ხარვეზები ამით იყო გამოწვეული. რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტს, მემორანდუმში ეწერა, იმ შემთხვევებში, როცა ინტერესთა კონფლიქტის რისკი დადგებოდა, ჩაენაცვლებოდა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური.

შორენა ჯაფარიძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მეტ პრობლემას ხედავს პროგრამის დაგეგმვის ნაწილში და ეჭვი აქვს, რომ ეს არის სისტემური პრობლემა. დირექტორმა აღნიშნა, რომ ადრე სხვა თანამშრომელი იყო, ვინც ამას აკეთებდა, ხარისხის მართვის მენეჯერი ახალია და ამდენი ხარვეზი ამითაა გამოწვეული.

შორენა ჯაფარიძემ სთხოვა ექსპერტებს, გაეგრძელებინათ დანარჩენი პროგრამების დასკვნების პრეზენტაციაც, რაზეც ალინა კუპრავამ დაამატა, რომ სისტემურად იკვეთება სამივე პროგრამის ფარგლებში 2.3. /4.1. კომპონენტებში ინტერესთა კონფლიქტი. ალინა კუპრავამ დღის წესრიგით გათვალისწინებული 2 პროგრამის ფარგლებში დასკვნებში ასახული შეფასებებიც წარმოადგინა:

8. **შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „ღონისძიების ორგნიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე** დასკვნის წარდგენისას, ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ წინა პროგრამის ანალოგიურად ამ პროგრამისთვისაც, **2.3. და 2.4. კომპონენტები შეფასებულია, როგორც სტანდარტთან შეუსაბამო. 2.1. და 2.2. კომპონენტები, როგორც მეტწილად შესაბამისი.** საბჭოს წევრებს გააცნო ამ პროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციები:
2.1.1.1. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად მოთხოვნილი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი. განსაზღვროს რა სახის შესაბამისობა გააჩნია და რა ნაწილშია საჭირო დამატებითი ინვესტირება. გასათვალისწინებელია განმახორციელებელი პერსონალის, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების მოზიდვისა და მათი შემდგომი გადამზადების აუცილებლობა.
2.1.1.2. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები და დაშვების წინაპირობად განსაზღვროს მხოლოდ სრული ზოგადი განათლება.

2.1.1.4. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დააზუსტოს უცხო ენის (ინგლისური) მოდულში სასწავლო რესურსები.
2.1.1.8. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროგრამებში შესაბამისი ცვლილებები და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების და ჩანაწერებში უზუსტობების პრევენციას. პროგრამის ადაპტირებისას რეკომენდებულია ცენტრის გზამკვლევების გამოყენება.
2.2.2.1. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება სწავლის შედეგების გათვალისწინებით („ქორწილების დაგეგმვა“) უზრუნველყოს შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმება.
2.2.2.2. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელების მდგრადობისთვის დარგობრივი კომპეტენციის მასწავლებლების მოძიება და შერჩევა.
2.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა პირველი და მეორე პროგრამის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციების შედარებითი ანალიზი, აქვე გამოყო „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი მოდულის - პრაქტიკული პროექტი (სწავლის შედეგი „ქორწილების დაგეგმვა“) [განხორციელების რისკი, არ იკვეთებოდა ხელშეკრულება, რომლითაც ამ მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების მიღწევა იქნებოდა უზრუნველყოფილი.
ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ აქაც **2.1. კომპონენტშია მეტწილი შესაბამისობა.** დარგის ექსპერტმა მაკო ჯაოშვილმა დაამატა, რომ დარგის მიმართულებით გარკვეული ხარვეზები დაინახა განხორციელების თვალსაზრისით, პრაქტიკული პროექტის მოდულის განხორციელების თვალსაზრისით პრობლემას ხედავს დარგის ექსპერტი, არ არის ხელშეკრულება გაფორმებული ისეთ ორგანიზაციასთან, რომელიც ამ მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. ასევე, პრაქტიკული გამოცდილების მქონე განმახორციელებელი არ ჰყავს ამ პროგრამას, ყველა პროფესიულ მოდულს ახორციელებს ერთი განმახორციელებელი, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელია და იმავდროულად, ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მემორანდუმი უკვე გაფორმებული აქვთ, განმახორციელებელს რაც შეეხება, მას აქვს 7 წლიანი გამოცდილება ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით, იყო უნივერსიტეტის პიარის თანამშრომელი.
ალინა კუპრავამ განმარტა, რომ ექსპერტებისათვის სრულ სურათს ვერ იძლევა მხოლოდ სიტყვიერი ინფორმაციები, არ არსებობს ხელშეკრულებები, თუმცა ახლად გაფორმებულ ხელშეკრულებებს ვერც განიხილავდნენ ექსპერტები.

9. **„პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის** დამატების **თაობაზე დსაკვნის წარდგენისას,** ალინამ კუპრავამ განაცხადა, რომ ბევრი კომპონენტი იდენტურადაა შეფასებული, **2.1. და 2.2. კომპონენტები მეტწილად შესაბამისადაა შეფასებული, ხოლო 2.3. და 2.4. - აქაც სტანდარტთან შეუსაბამოა.** ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები ანალოგიურია, მხოლოდ განმავითარებელ რეკომენდაციებშია განსხვავება.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები:
2.1.1.4. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დააზუსტოს უცხოური ენის(ინგლისური) მოდულში სასწავლო რესურსები. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი კომპონენტები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.
2.1.1.8. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში პროგრამაში ცვლილებების განხორციელება და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების და ჩანაწერებში უზუსტობების პრევენციას. რეკომენდებულია ცენტრის გზამკვლევების გამოყენება პროგრამის ადაპტირებისას.
2.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომედებულია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის.
2.4.1.1. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ცვლილებები შეიტანოს სასწავლო გეგმაში და უზრუნველყოს მოდულზე დაშვების წინაპირობების დაცვა.
2.1. კომპონენტში იკვეთება ტექნიკური ხარვეზები, უცხო ენის მოდულის საგანმანათლებლო რესურსის პრობლემა, მოდულების განხორციელების წინაპირობები იყო დარღვეული. დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ დაამატა, რომ მოდულების წინაპირობები იყო დარღვეული, წინაპირობიანი მოდულები პარალელურად იყო სასწავლო გეგმაში ჩასმული. კერძოდ, მოდულის „პროგრამული დიზაინის ნიმუშების შემუშავება“ განხორციელების წინაპირობა არის მოდული „უნიფიცირებული მოდელირების ენა“, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმაში აღნიშნული მოდულები დაგეგმილია პარალელურად. ასევე პროგრამის პროფესიულ მოდულებში ძირითადად მითითებულია ელექტრონული რესურსების ბმულები, გადამოწმებისას დადგინდა, რომ ბმულებზე არსებული მასალების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე, ვინაიდან პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე, შესაბამისად პროფესიული სტუდენტებისათვის მოდულით გათვალისწინებული თემატიკის მიწოდება სასურველია განხორციელდეს მათთვის გასაგებ ენაზე. შემდგომი განვითარების მიზნით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს თემატიკის/სწავლის შედეგების შესაბამისი ქართულენოვანი საგანმანათლებლო რესურსების მოძიება და მოდულებში ასახვა. ეს პროგრამა სწავლების თვალსაზრისით ერთ-ერთი რთული პროგრამაა, ამიტომ სტუდენტებისთვის გასაგებ ენაზე არსებული, შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი აუცილებელია. ექსპერტმა დაამატა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, განმახორციელებლები ჰენდაუთებსაც გამოიყენებენ. ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტსაც, რომ რეგულაციებშიც და მოდულებშიც სასურველია ასახული იყოს ის მიდგომები, რასაც რეალურად ახორციელებს კოლეჯი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ძალიან კომპეტენტური მასწავლებლები ჰყავთ ამ პროგრამაზე, ისინი წინასწარ ამზადებენ პროფესიული სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო რესურსს, რაზეც დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ ეს ყველაფერი სასურველია მოდულებშიც ყოფილიყო ასახული, რაზეც კომენტარი ისევ გააკეთა შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ როგორც ჩანს პროგრამების დაგეგმვის და გააზრების პრობლემა აქვს კოლეჯს. მოდულური პროგრამების დანერგვის პირველ ეტაპზე არსებობდა დაწესებულებებში მსგავსი ხარვეზები, ამ კოლეჯს უკვე უნდა ჰქონდეს თავისი

დამოუკიდებლობა და პროფესიული განათლების სპეციფიკა უნდა იყოს ასახული რეგულაციებშიც და პროგრამებშიც. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, დამატებით განემარტათ, ეს კოლეჯი დამოუკიდებელია, თუ არის უნივერსიტეტის სტრუქტურის ნაწილი, რადგან აქაც აკადემიური საბჭო ფიგურირებს. ალინა კუპრავამ და კოლეჯის დირექტორმა განმარტეს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი არის დამოუკიდებელი კოლეჯი, თუმცა დაფუძნებულია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ და კარგი თანამშრომლობა არსებობს მათ შორის. კოლეჯსაც ჰყავს აჯადემიური საბჭო. ფინანსური მხარდაჭერა უნივერსიტეტის მხრიდანაა. კოლეჯი გეგმავს, მომავალში მეტი პროგრამა განახორციელოს დუალური მიდგომით.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

შორენა ჯაფარიძემ განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და თვითონ, როგორც თავმჯდომარე, კიდევ ერთხელ გააჟღერებს იმ გადაწყვეტილების დასაბუთებას, რაც მიიღო საბჭომ საკმაოდ ხანგრძლივი დისკუსიის შედეგად. კერძოდ, საბჭოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არსებობს უნივერსიტეტის მიერ დაფუძლებული ასეთი კოლეჯი, რომლის მატერიალური რესურსი სრულადაა გამართული, აღემატება კიდეც მინიმალურ მოთხოვნებს, მაგრამ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი შეფასებების დროს საბჭომ მოისმინა ბევრი ხარვეზი და შესაბამისობის რეკომენდაციები, რის საფუძველზეც ანალიზი გააკეთა და დასკვნა ასეთია: სამივე პროგრამის ფარგლებში ყველაზე დიდი პრობლემაა **2.1. კომპონენტის შეფასება, რომელიც მეტწილადაა შეფასებული.** პირველი შეხედვით, შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ეს უმნიშვნელოა, რომ დაშვებულია ტექნიკური უზუსტობები, სასწავლო გეგმის ხარვეზები, მაგრამ ეს არის მთლიანობაში ძალიან მნიშვნელოვანი. 2.1. კომპონენტის მიხედვით რვა ინდიკატორია შესაფასებელი, 2.1.1. კრიტერიუმი ცალსახად განმარტავს, რომ პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. დასკვნების საფუძველზე იკვეთება, რომ მოცემული კრიტერიუმი და შესაბამისი ინდიკატორები არ არის სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში. მოდულური პროგრამის დაგეგმვის, პროგრამის შედგენის, ადაპტირების და, აქედან გამომდინარე, განხორციელების საკითხები არ არის სწორად გააზრებული და დაგეგმილი დაწესებულების მიერ. 2.1. კომპონენტის **მეტწილი შესაბამისობა,** ავტორიზაციის დებულების 39-ე მუხლიდან (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება) გამომდინარე, ცალსახად იწვევს პროგრამაზე უარის თქმას, რადგანაც ასეთ შეფასებას, მეორე სტანდარტის საერთო შეფასება გადაჰყავს ნაწილობრივ შესაბამისობაში. დანარჩენი კომპონენტებიც არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგ, 2.3. კომპონენტი, რომლის კრიტერიუმია 2.3.1. - პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით. სადაც იკვეთებოდა ინტერესთა კონფლიქტი, გაქვთ თქვენ ალტერნატიული მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფა ნაწილობრივ გატანილია კოლეჯიდან, მაგრამ ამას ხელოვნურობის ეფექტი ახლავს და განხორციელება რამდენად სწორად მიმდინარეობს, ვერ დავინახეთ. წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც პროგრამების განხორციელების შეფასების მიმდინარე პროცესს ადასტურებს, ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია. თქვენ მოსულები ხართ უმაღლესი განათლებიდან და ჩვენი რჩევაა, რომ კარგად ჩაწვდეთ პროფესიული განათლების სპეციფიკას, ის მეთოდები და მიდგომები, რაც უმაღლეს განათლებაშია, სამწუხაროდ, ვერ მუშაობს პროფესიულ განათლებაში, და ეს კოლეჯმა კარგად უნდა გაითავისოს, აღნიშნა სხდომის თავმჯდომარემ და დაამატა, შესაძლოა კოლეჯს კარგად არ ჰქონდეს გაწერილი მექანიზმები, მაგრამ მექანიზმები რეალურად არსებობდეს და პროცესი კარგად ხორციელდებოდეს, რაც ვერ დავინახეთ. რაკი თქვენ მოსული ხართ უმაღლესი განათლებიდან, შესაძლოა ჯერ კიდევ გიჭირთ პროფესიული განათლების სპეციფიკის გააზრება, გირჩევთ, რომ თუ პროფესიული პროგრამების განხორციელებას ირჩევთ, მეტი

გააზრება გმართებთ იმ სტანდარტების და პროცესების, რომელიც პროფესიულ განათლებასთანაა დაკავშირებული. ასევე, სხდომის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ კომპონენტებზე, რომლებშიც ხარვეზები იყო დაფიქსირებული ექსპერტთა დასკვნებში და შეფასება იყო - **არ შეესაბამება სტანდარტს.** (1.2, 2.3, 2.4, 4.1).

ნინო ველთაურმა დაამატა, რომ პროგრამების განხორციელებისას ხარისხის სტანდარტის მოთხოვნების დაცვაა აუცილებელი, თუმცა აქ ისიც არ ჩანდა, რომ სტანდარტების გააზრება თუნდაც დოკუმენტურად და რეგულციებში იყო სწორად გაწერილი.

მარიამ ჩაგელიშვილმა დაამატა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სამივე პროგრამის, განსაკუთრებით, „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და ძალიან სამწუხაროა, რომ კოლეჯი არ აღმოჩნდა ამისთვის მზად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება: უარი ეთქვას შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 405318570) „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 19 ივლისი.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება: უარი ეთქვას შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 405318570) „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 19 ივლისი.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება: უარი ეთქვას შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 405318570) „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 19 ივლისი.

18:24 საათზე, დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ, სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის ქ. №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	70
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127.5
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127.5

პროგრამის სახელწოდება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის ქ. №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	121.5
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	121.5

პროგრამის სახელწოდება	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-A)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის ქ. №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	35
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	68
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	68

პროგრამის სახელწოდება	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-H)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის ქ. №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	25
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. №8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, აკ. წერეთლის ქ. №4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	12
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	საბაზო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. №8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53